

შპს „სვანეთი ჰიდრო“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კორპორაციული ინფორმაცია	5
2. საოპერაციო გარემო	5
3. მომზადების საფუძველი	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და შეფასება	12
6. ძირითადი საშუალებები	13
7. აქტივის გამოყენების უფლება	14
8. სხვა გრძელვადიანი აქტივები	14
9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14
10. საკუთარი კაპიტალი	15
11. ნასესხები სახსრები	15
12. გადავადებული შემოსავალი	16
13. ამონაგები ელექტროენერგიის გაყიდვიდან	16
14. სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17
15. სხვა არასაოპერაციო ხარჯები	17
16. არარეგულარული ხარჯები, წმინდა	17
17. ფინანსური დანახარჯები	17
18. პირობითი ვალდებულებები	17
19. ფინანსური ინსტრუმენტები	18
20. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები	20
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	20

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „სვანეთი ჰიდროს“ მონაწილეს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „სვანეთი ჰიდროს“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა ახსნითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ განმარტებითი შენიშვნებისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა ხსენებული სტანდარტების საფუძველზე აღწერილია დასკვნის სექციაში *აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები “ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს” (IESBA) “პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო კოდექსის” (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და საქართველოში ფინანსურ ანგარიშგების აუდიტისთვის რელევანტურ ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

სხვა გარემოება

კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც არამოდიფიცირებული დასკვნა გამოსცა ამ მოსაზრებაზე 2023 წლის 28 აპრილს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენაზე, ფასს-ების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ, და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებებისა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს, გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ ას-ს საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და მიიჩნევა არსებითად, თუ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ას-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმის უზრუნველსაყოფად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენ ვალდებული ვართ აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებულ შესაბამის განმარტებაზე, ან თუ ამგვარი განმარტება არაადეკვატური იქნება, მოდიფიცირება გავუკეთოთ ჩვენს მოსაზრებას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად ოპერაციებს და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანად წარდგენა;

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:



ვახტანგ ნამორაძე

შპს „იუ ეიჩ ვაი“

თბილისი, საქართველო

2024 წლის 29 აპრილი



მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ვახტანგ ნამორაძე

შპს „იუ ეიჩ ვაი“

თბილისი, საქართველო

2024 წლის 29 აპრილი


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით


(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	96,182	99,364
აქტივის გამოყენების უფლება	7	608	574
სხვა გრძელვადიანი აქტივები	8	462	511
სულ გრძელვადიანი აქტივები		97,252	100,449
მოკლევადიანი აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	238	105
ავანსად გადახდილი გადასახადები		374	625
სხვა მოკლევადიანი აქტივები		66	261
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	6,548	3,421
სულ მოკლევადიანი აქტივები		7,226	4,412
სულ აქტივები		104,478	104,861
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	49,602	49,602
დაგროვილი დეფიციტი		(49,553)	(48,660)
საკურსო სხვაობის რეზერვები	10	9,776	9,962
სულ საკუთარი კაპიტალი		9,825	10,904
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	11	93,675	93,161
საიჯარო ვალდებულებები	7	321	242
გადავადებული შემოსავალი	12	420	480
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		94,416	93,883
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	7	57	43
სავაჭრო და სხვა ვალდებულება		180	31
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		237	74
სულ ვალდებულებები		94,653	93,957
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		104,478	104,861

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 29 აპრილს.



ზურბ გორდუზიანი
დირექტორი



ნანა მშვიდლობაძე
ფინანსური მენეჯერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	96,182	99,364
აქტივის გამოყენების უფლება	7	608	574
სხვა გრძელვადიანი აქტივები	8	462	511
სულ გრძელვადიანი აქტივები		97,252	100,449
მოკლევადიანი აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	238	105
ავანსად გადახდილი გადასახადები		374	625
სხვა მოკლევადიანი აქტივები		66	261
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	6,548	3,421
სულ მოკლევადიანი აქტივები		7,226	4,412
სულ აქტივები		104,478	104,861
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	49,602	49,602
დაგროვილი დეფიციტი		(49,553)	(48,660)
საკურსო სხვაობის რეზერვები	10	9,776	9,962
სულ საკუთარი კაპიტალი		9,825	10,904
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	11	93,675	93,161
საიჯარო ვალდებულებები	7	321	242
გადავადებული შემოსავალი	12	420	480
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		94,416	93,883
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	7	57	43
სავაჭრო და სხვა ვალდებულება		180	31
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		237	74
სულ ვალდებულებები		94,653	93,957
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		104,478	104,861

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 29 აპრილს.

ზურაბ გორდეზიანი
დირექტორინანა მშვიდლობაძე
ფინანსური მენეჯერი

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები ელექტროენერგიის გაყიდვიდან	13	14,471	14,571
სულ ამონაგები		14,471	14,571
ელექტროენერგიის და გადაცემის დანახარჯები		(1,246)	(82)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(2,723)	(3,178)
სხვა საოპერაციო ხარჯები	15	(248)	(402)
სულ არასაოპერაციო ხარჯები		(4,217)	(3,662)
EBITDA		10,254	10,909
ცვეთა და ამორტიზაცია	6, 7, 8	(2,551)	(2,956)
ფინანსური შემოსავალი		83	565
ფინანსური დანახარჯები	17	(8,405)	(9,815)
საკუროსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი		(141)	(323)
არარეგულარული ხარჯები, წმინდა	16	(133)	(179)
ზარალი დაბეგვრამდე		(893)	(1,799)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის ზარალი		(893)	(1,799)
სხვა სრული ზარალი, რომელიც მოგება-ზარალში არ არის რეკლასიფიცირებული - საკუროსო სხვაობა წარსადგენ ვალუტად კონვერტირებიდან		(186)	(2,525)
წლის მთლიანი სრული ზარალი		(1,079)	(4,324)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	სააქციო/ საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი დეფიციტი	საკუთრო სხვაობის რეზერვები	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	67,446	(46,861)	12,487	33,072
წლის ზარალი	-	(1,799)	-	(1,799)
უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციის რეზერვი	-	-	(2,525)	(2,525)
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(1,799)	(2,525)	(4,324)
სააქციო კაპიტალის შემცირება (მე-10 შენიშვნა)	(17,844)	-	-	(17,844)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	49,602	(48,660)	9,962	10,904
წლის ზარალი	-	(893)	-	(893)
უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციის რეზერვი	-	-	(186)	(186)
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(893)	(186)	(1,079)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	49,602	(49,553)	9,776	9,825

ფულადი ნაკადების ანგარიშგება**2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ელექტროენერგიის გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები		14,320	14,930
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები		(2,425)	(2,029)
თანამშრომლებზე გადახდილი ფულადი სახსრები		(400)	(491)
მიღებული პროცენტი		90	192
გადახდილი გადასახადები		(803)	(1,535)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		10,782	11,067
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა		(282)	(259)
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		-	2,456
კაპიტალურ დანახარჯებთან და ძირითადი საშუალების რეალიზებასთან დაკავშირებული გადახდილი დღგ		-	(1,573)
გაცემული სესხები		-	(10,144)
გაცემული სესხების დაფარვა		228	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(54)	(9,520)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან	11	-	94,163
ნასესხები სახსრების დაფარვა	11	-	(99,252)
საიჯარო გადახდები		(1)	(14)
გადახდილი პროცენტი	11	(7,484)	(13,014)
განაწილება მშობელ საწარმოზე	10	-	(7,011)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(7,485)	(25,128)
საკუროს სხვაობით მიღებული ზარალი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(116)	(595)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		3,127	(24,176)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	9	3,421	27,597
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლების ბოლოს	9	6,548	3,421

არსებითი არაფულადი ოპერაციები განხილულია მე-10 შენიშვნაში.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

1. კორპორაციული ინფორმაცია

შპს „სვანეთი ჰიდრო“ (შემდგომში „კომპანია“) 2013 წელს დაფუძნდა, როგორც საქციო საზოგადოება, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 2023 წლის 13 ნოემბრის, კრების ოქმის საფუძველზე, კომპანიის აქციონერებმა, გარდაქმნეს კომპანია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი 0179, მედეა (მზია) ჯუღელი ქ. #10.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა განახლებადი ენერგეტიკული პროექტების განვითარება საქართველოში. კომპანია ამუშავებს 30 მეგტ სიმძლავრის ჰიდროელექტრო სადგურს, მესტიაჭალა 2-ს.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-ის მფლობელია სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციები“ (შემდგომში „GRPO“ ან „მშობელი საწარმო“), რომლის 100%-იანი მფლობელია სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ჰოლდინგი“ (შემდგომში „GRPH“ ან „შუალედური მშობელი საწარმო“). GRPH-ის 100%-ის მფლობელია სს „საქართველოს კაპიტალი“ (შემდგომში „GCAP“), რომლის საბოლოო მშობელი საწარმოა შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „Georgia Capital“ (შემდგომში „საბოლოო მშობელი საწარმო“), ინგლისში რეგისტრირებული და ლონდონის საფონდო ბირჟაზე აღრიცხული იურიდიული პირი.

კომპანია არის თავდები და გასცემს უზრუნველყოფას „GRPO“-ის ახლად გამოშვებულ 80 მილიონი აშშ დოლარის მწვანე ობლიგაციებზე. ამ ოპერაციების ეფექტი განხილულია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მე-5 შენიშვნაში.

2. საოპერაციო გარემო

კომპანიის საქმიანობა კონცენტრირებულია საქართველოში. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველოს არ აქვს კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა, რაც უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებს ახასიათებთ. საქართველოში ოპერაციები შესაძლოა მოიცავდეს რისკებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე (მათ შორის რისკს, რომ ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, არსებობს ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობის რისკები, და სასესხო და კაპიტალის ბაზრები არ არის სათანადოდ განვითარებული). თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საბანკო, სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების ჩამოყალიბებისათვის საჭირო რეფორმების სახით, რაც დადებითად აისახება ზოგად საინვესტიციო კლიმატზე. ამ რეფორმებს შორის არის ახალი კანონმდებლობის მიღება, ახალი საგადასახადო კოდექსისა და საპროცესო კანონების ჩათვლით. ხელმძღვანელობის აზრით, აღნიშნული ნაბიჯები ამცირებს ბიზნესის წარმოების რისკებს საქართველოში.

მოსალოდნელია ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული არსებული ტენდენციის გაგრძელება. ქართული ეკონომიკის მომავალი სტაბილურობა დიდწილად არის დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის. ამის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ახდენს საბაზრო კრიზისი და ეკონომიკური განვითარების შეფერხება განვითარებულ ქვეყნებში.

საქართველოს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ერთ წელიწადში 8,3%-ით გაიზარდა 2023 წლის დეკემბერში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის („საქსტატი“) მიერ 2024 წლის 31 იანვარს გამოცემული სწრაფი შეფასების მიხედვით. ზრდა დაფიქსირდა მშენებლობის, წარმოების, ფინანსურ და სადაზღვევო, ასევე საინფორმაციო და საკომუნიკაციო საქმიანობებში. ამასთან, წინა წელთან შედარებით მოსალოდნელმა რეალურმა მშპ-ის ზრდამ 2023 წელს 7% შეადგინა. „საქსტატის“ მონაცემებით, 2023 წლის დეკემბერში წლიურმა ინფლაციის დონემ 0,4% შეადგინა.

ომი უკრაინაში

უკრაინაში ომის შედეგად ბევრმა ქვეყანამ კონკრეტულ რუსულ საწარმოებს და ფიზიკურ პირებს დაუწესა და უწესებს ახალ სანქციებს. სანქციები ასევე დაუწესდა ბელარუსსაც. შექმნილ ვითარებას, საქონლის ფასების და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების პოტენციურ მერყეობასთან, იმპორტ-ექსპორტის შეზღუდვასთან, ადგილობრივი მასალების და მომსახურებების ხელმისაწვდომობასა და ადგილობრივ რესურსებზე წვდომასთან ერთად პირდაპირი გავლენა იქნება საწარმოებზე, რომლებიც აწარმოებენ ოპერაციებს ან კონტაქტი აქვთ რუსეთთან, ბელარუსთან ან უკრაინასთან. ომს და მის პირდაპირ და არაპირდაპირ შედეგებს შესაძლოა გავლენა ჰქონდეს სხვა საწარმოებზე, რომლებსაც პირდაპირი ინტერესები არ გააჩნიათ ამ ქვეყნებში, მაგალითად, სამომხმარებლო ფასების და უცხოური ვალუტის გაცვლით კურსის მერყეობაზე დაქვემდებარების, ასევე გაჭიანურებული ეკონომიკური ვარდნის შესაძლებლობის შედეგად. ვინაიდან ომი ჯერაც მიმდინარეობს და ხდება ახალი სანქციების დაწესება, შეუძლებელია იმის სარწმუნოდ შეფასება, თუ როგორ აისახება ეს კომპანიის საქმიანობაზე, ასევე გაურკვეველია, რა მასშტაბის გავლენას მოახდენს ის ზოგადად ეკონომიკაზე. კომპანიის ხელმძღვანელობა თვალს ადევნებს ეკონომიკურ ვითარებას შექმნილ გარემოში. კომპანიაზე ომის ეფექტების საუკეთესო მიმდინარე შეფასება ასახულია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

3. მომზადების საფუძველი

კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური აქტივები

ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში, საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში („FVOCI“) და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით („FVPL“).

კომპანია არ ფლობს სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებულ ფინანსურ აქტივებს, გარდა სავაჭრო ფინანსური ინსტრუმენტებისა. კომპანიის ფინანსური აქტივები შესულია მოკლევადიან აქტივებში, გარდა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღიდან 12 თვეზე მეტი დაფარვის ვადის მქონე აქტივებისა. ისინი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდგომ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობა და ზარალი მოგება-ზარალში აღიარდება მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭროდ გამიზნულ ფინანსურ აქტივებს.

კომპანია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს სავაჭროდ გამიზნულის სახით, თუ მათი შეძენის ან წარმოშობის უპირატესი მიზანია მოგების გადმოშვება ფასებში მოკლევადიანი ცვალებადობიდან ან სადილერო მარჟიდან, ან იმ შემთხვევაში, თუ ის იდენტიფიცირებული ინსტრუმენტების პორტფელის ნაწილს წარმოადგენს, რომელთა მართვა ერთობლივად ხდება და რომლისთვისაც არსებობს მოკლევადიანი მომგებიანობის მიმდინარე ფაქტობრივი შაბლონი.

სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივები მოიცავს საწარმოს მიერ ფასიდან ან სადილერო მარჟიდან მოკლევადიანი მოგების მიზნით შეძენილ სავალო ფასიან ქაღალდებს. სავაჭროდ გამიზნულ ინსტრუმენტებზე შემოსულობა და ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ყრდნობა სხვაობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და კომპანიის ყველა მოსალოდნელ ფულად ნაკადს შორის, და დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის

ფინანსური ვალდებულებები

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება აისახება ამორტიზებული ღირებულებით, გარდა ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებისა, რომელიც თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით განისაზღვრება და შემდგომ შეფასდება (i) ზარალის რეზერვის თანხასა და (ii) შესაბამის შემთხვევაში ფასს (IFRS) 15-ის („ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“) საფუძველზე აღიარებული შემოსავლის კუმულაციური თანხით შემცირებულ თავდაპირველად აღიარებულ თანხას შორის უმაღლესით.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებების მუხლები თავდაპირველად თვითღირებულებით აღირიცხება. შესყიდვის ფასის გარდა, ძირითადი საშუალებების ღირებულება, დაუმთავრებელი მშენებლობის ჩათვლით, მოიცავს უშუალოდ მიკუთვნებულ ხარჯებს და ერთეულების დემონტაჟისა და ტერიტორიიდან გატანის მომავალი გარდაუვალი ხარჯების ამჟამინდელ ღირებულებას. პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები მოიცავს ტექნიკური, გარემოსდაცვითი და სხვა შესაბამისი ექსპერტების მიერ გაწეულ პროფესიულ მომსახურებას. ამასთან, პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები ითვალისწინებს ნებართვის წინა დანახარჯებს, რაც მოიცავს პროექტის შეფასების პერიოდში განხორციელებულ კვლევებს და მომსახურებებს, როგორც არის შეფასების კვლევა, საპროექტო დანახარჯების, ტექნიკურ და გარემოსდაცვით ანალიზს, გეოლოგიურ კვლევებს. ელექტროსადგურების მშენებლობისთვის ნებართვების მისაღებად განხორციელებული შენატანები ადგილობრივ სამთავრობო უწყებებში ასევე წარმოადგენენ პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების ნაწილს. ერთეულების დემონტაჟის და გატანის ვალდებულება ანარჩებებში აღიარდება.

საწყისი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებები აღირიცხება პირვანდელი ღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და აღიარებული გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალებების ერთეულის გასვლის შედეგად ნებისმიერი მოგების ან ზარალის მიღება განისაზღვრება გასვლიდან მიღებული შემოსავლის შედარებით ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებასთან და მისი აღიარება ხდება წმინდა თანხით მოგებაში ან ზარალში შემოსავლის / სხვა ხარჯების ნაწილში.

ცვეთა

აქტივის ცვეთა აითვლება იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი მზად არის და ხელმისაწვდომია ექსპლუატაციისთვის. ელექტროსადგურების შემთხვევაში, ფუნქციონირების დაწყების თარიღი ნიშნავს გამოცდის პერიოდის დასრულებას და ენერგიის გამომუშავების ლიცენზიის მიღებას.

დაუმთავრებელ აქტივებს და მიწას ცვეთა არ ერიცხება. დაუმთავრებელი აქტივები ექსპლოატაციაში შედის და ცვეთის ხარჯის დარიცხვა იწყება აქტივის სამიზნე მდგომარეობაში მოყვანისთანავე. ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაზე შემდეგნაირად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
ინფრასტრუქტურული აქტივები	10-დან 60-მდე
მიწები და ჭები	45
ავეჯი და მოწყობილობები	3-დან 10-მდე
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	10

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანგარიშსწორების მიზნით ფულადი სახსრების გასვლის ალბათობა დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, და წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემოსვლაა მოსალოდნელი.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები.

ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ან როდესაც აქტივის წლიური ტესტირებაა საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, კომპანია აფასებს აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდიდება, რაც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შემენილი არამატერიალური აქტივები, რომელთა სასარგებლო მომსახურების ვადა სასრულია, აისახება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია ხორციელდება წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადის განმავლობაში (3–5 წელი), დაწყებული იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი ხელმისაწვდომი გახდა მოხმარებისთვის.

გაუფასურების შემთხვევაში არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება შემცირდება მათი გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უფრო მაღალ ღირებულებამდე.

დაბეგვრა

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი დაირიცხება იმ აქციონერებზე დივიდენდებზე განაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები არიან საქართველოში. გადასახადი დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებებიდან გამოკეტივები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. 2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშის დანერგვით. ამიტომ კომპანია თითოეული საწარმოს საგადასახადო ვალდებულებებსა და მოთხოვნებთან დაკავშირებულ აქტივებს და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე წარმოადგენს.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი („დღგ“) წარმოადგენს ვალდებულებას საგადასახადო უწყებების მიმართ, როდესაც ხდება საქონლის მიწოდება ან მომსახურების გაწევა. დღგ-ის ჩასათვლელი თანხის აღიარება ხდება მომწოდებლისგან საგადასახადო ანგარიშფაქტურის მიღების მომენტში, მაგრამ მისი მიღება ხდება ბრუნვაზე გადახდილი დღგ-ის თანხიდან მხოლოდ ამ ანგარიშფაქტურის გადახდისას. კაპიტალურ დანახარჯებთან დაკავშირებული დღგ აისახება ფულად ნაკადებში საინვესტიციო საქმიანობიდან, მაშინ, როდესაც საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული დღგ აისახება საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ ფულად ნაკადებში.

გადახდილი ავანსი

გადახდილი ავანსები აღირიცხება გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. გადახდილი ავანსები მაშინ კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც მათთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება ერთი წლის შემდეგ არის მოსალოდნელი ან მაშინ, როდესაც გადახდილი ავანსები უკავშირდება აქტივს, რომელიც, საწყისი აღიარებისას, თვითონ იქნება კლასიფიცირებული გრძელვადიანად. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როგორც კი კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და მოელის აქტივიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღებას. სხვა სახის გადახდილი ავანსები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში გადახდილ ავანსებთან დაკავშირებული საქონლის და მომსახურების მიღების შემდეგ.

თუ არსებობს მინიშნება, რომ გადახდილ ავანსებთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ იქნება მიღებული, გადახდილი ავანსების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი გატარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის ნაშთისგან ბანკში და მოკლევადიანი მაღალი რისკის მქონე ინვესტიციებისგან (როგორც არის საბანკო ანაზღაურებები ან მაღალი ხარისხის სავალდებულო ფასიანი ქაღალდები) წარმომოხმობისას სამთვლიანი ან ნაკლები დაფარვის ვადით. ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებაში.

ვალდებულებების და დანარიცხების ანარიცხები

ვალდებულებების და დანარიცხების ანარიცხები განუსაზღვრელი ვადების და ოდენობის მქონე არაფინანსურ ვალდებულებებს წარმოადგენს. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე იურიდიული თუ კონსტრუქციული ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ განსაზღვრა.

მსგავსი ვალდებულებების არსებობის დროს, ალბათობა იმისა, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება რესურსების გადინება, განისაზღვრება ვალდებულებების კლასის, როგორც ერთი მთლიანის გათვალისწინებით.

თუ კომპანია მოელის ანარიცხის ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე, ანაზღაურების აღიარება ხდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება გადაწყვეტილია.

აქტივის გამოყენების უფლება

აქტივის გამოყენების უფლება თვითღირებულებით ფასდება, რასაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და კორექტირდება საიჯარო ვალდებულებების ნებისმიერი ხელახალი შეფასების შედეგის შესაბამისად. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების, თავდაპირველად გაწეული პირდაპირი ხარჯების და დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებული საიჯარო გადახდების თანხას, ნებისმიერი მიღებული იჯარის წამახალისებელი გადახდების გამოკლებით. აქტივის გამოყენების აღიარებულ უფლებას ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადასა და აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესის განმავლობაში.

საიჯარო ვალდებულებები

კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულებით ფასდება. საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების დაანგარიშებისას, კომპანია იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის ვადის დაწყების თარიღში, თუ იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი მარტივად ვერ განისაზღვრება. იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა გაიზრდება, პროცენტის გაზრდის ასახვის მიზნით, და შემცირდება - განხორციელებული საიჯარო გადახდების შედეგად. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ხელახლა ფასდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება საიჯარო ვადის ცვლილებას, ფიქსირებული საიჯარო გადახდების ცვლილებას ან საიჯარო აქტივის ნასყიდობის შეფასების ცვლილებას.

ამონაგები ელექტროენერგიის გაყიდვიდან

კომპანია ყიდის ელექტროენერგიას, რომელსაც გამოიმუშავებს საკუთარი ჰიდროელექტრო სადგურით. მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს იმ ოდენობით, რაც შეესაბამება ანაზღაურებას, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის სანაცვლოდ.

ამონაგების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით. ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები საზღაურის სამართლიანი ღირებულებით.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**ამონაგები ელექტროენერგიის გაყიდვიდან (გაგრძელება)**

ელექტროენერგია იყიდება ცალკეული ხელშეკრულებების ფარგლებში და ელექტროენერგიის გაყიდვა ერთადერთ შესასრულებელ ვალდებულებას წარმოადგენს. შესასრულებელი ვალდებულება დაკმაყოფილებულია და ამონაგები აღიარდება ისეთ დროს, როდესაც აქტივზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს, რაც მაშინ ხდება როდესაც ელექტროენერგია მიეწოდება შეთანხმებულ საზომ მრიცხველს.

ამონაგები ფასდება ხელშეკრულების საფუძველზე შეფასებული გარიგების ფასით. საზღაურის გადახდა ხდება ელექტროენერგიის გადაცემაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. მომხმარებლები ჩვეულებრივ ვალდებული არიან გადაიხადონ შესაბამისი ნაშთები მომდევნო თვის ბოლომდე.

EBITDA

კომპანია ცალკე წარმოადგენს შემოსავალს პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA) მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. EBITDA განისაზღვრება, როგორც შემოსავალი პროცენტის, ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვამდე, წმინდა საკურსო სხვაობით განპირობებული ზარალის ან შემოსულობის გაწევამდე და წმინდა არარეგულარული მუხლების განხორციელებამდე.

არარეგულარული მუხლები

კომპანია ცალკე ახდენს არარეგულარული ხასიათის შემოსავლისა და ხარჯების კლასიფიცირებასა და გაცხადებას. არარეგულარული ხასიათისა შეიძლება ნებისმიერი ტიპის შემოსავალი ან ხარჯი იყოს. კომპანია არარეგულარულ შემოსავალს ან ხარჯს განსაზღვრავს, როგორც უჩვეულო ეკონომიკური, ბიზნესის ან ფინანსური მოვლენის შედეგად განპირობებულ ან მისგან გამომდინარე შემოსავალს ან ხარჯს, რომელიც არ არის კომპანიის ჩვეულებრივი და რეგულარული საქმიანობისთვის დამახასიათებელი და გამოწვეულია წინასწარ გაურკვეველი და არაპროგნოზირებადი გარე ფაქტორებით, რომლებიც გონივრულ ფარგლებში არ არის მოსალოდნელი მომავალში და ამგვარად ისინი არ უნდა იყოს გათვალისწინებული მომავალი შედეგების პროგნოზებში.

სამუშაო ვალუტა და უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ამერიკის შეერთებული შტატების დოლარი (აშშ დოლარი), შემდეგის გათვალისწინებით:

- ▶ საქართველოში ელექტროენერგიის ტარიფი განისაზღვრება აშშ დოლარში, შესაბამისად, კომპანიის ამონაგები აშშ დოლარშია გამოხატული;
- ▶ აქციონერების მიერ სააქციო კაპიტალში შენატანები, ასევე მათზე გადანაწილება აშშ დოლარში განხორციელდა;
- ▶ კომპანიის ფინანსური სტრუქტურა აშშ დოლარშია გამოხატული.

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები თავდაპირველად კომპანიის სამუშაო ვალუტაში აღირიცხება, გარიგების თარიღისთვის დადგენილი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ხელახლა კონვერტაცია ხდება საანგარიშგებო თარიღში არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლების გადანგარიშგება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციების კონვერტირებით მიღებული შემოსულობა და ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობის ფარგლებში.

სხვაობები გარკვეული გარიგების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სავალუტო კურსსა და საქართველოს ეროვნული ბანკის („სეზ“) გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს ასახულია შემოსულობის თანხით შემცირებულ საკურსო სხვაობით განპირობებულ ზარალში. სეზ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 2.6894 და 2.7020 ლარი 1 აშშ დოლარი, შესაბამისად.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**სამუშაო ვალუტა და უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია (გაგრძელება)**

ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, კომპანიის წარსადგენი ვალუტა არის ლარი. ფინანსური ანგარიშგების მუხლების წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშება ხდება შემდეგი პრინციპების მიხედვით: აქტივები და ვალდებულებები ლარში გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღში მოქმედი სავალუტო კურსით, შემოსავალი და ხარჯები გადაანგარიშდება გარიგების დღეებში მოქმედი სავალუტო კურსებით (ან პერიოდის საშუალო კურსით, თუ მიახლოებული სიდიდე გონივრულია), ხოლო კაპიტალის კომპონენტებისთვის შენარჩუნდება ის გაცვლითი კურსი, რომელიც მოქმედებდა სამუშაო ვალუტის ცვლილების თარიღისთვის. კონვერტაციის შედეგად მიღებული საკურსო სხვაობის აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში.

ფულადი სახსრების მოძრაობის შესულ ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი არ მოიცავს საკურსო სხვაობით განპირობებულ შემოსულობას/ზარალს ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე და უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციის ეფექტს, ფულადი ნაკადების ანგარიშგების მოსამზადებლად ლარში.

დასაქმებულთა გასამრჯელოები

ხელფასების, წლიური შევებულების და ბიულეტენის, ფულადი პრემიებისა და სხვა სარგებელის დარიცხვა ხდება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

კომპანიამ პირველად გამოიყენა კონკრეტული სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს და ამ თარიღის შემდეგ დაწყებული ყოველწლიური პერიოდებისთვის. კომპანიას ვადაზე ადრე არ მიუღია რომელიმე სხვა სტანდარტი, ინტერპრეტაცია ან ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ძალაში არ არის შესული.

შემდეგი ცვლილებები და ინტერპრეტაციები პირველად იქნა გამოყენებული 2023 წელს:

- ▶ ფასს (IFRS) 17 – სადაზღვევო ხელშეკრულებები;
- ▶ სააღრიცხვო შეფასების განმარტება – ბასს (IAS) 8–ის ცვლილება;
- ▶ სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნა – ბასს (IAS) 1–ის ცვლილება და განცხადება 2 ფასს–ების გამოყენების პრაქტიკის შესახებ;
- ▶ ერთი გარიგებიდან წარმოდგარ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი – ბასს (IAS) 12–ის ცვლილება;
- ▶ საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – პილარ 2–ის სანიმუშო წესები – ბასს (IAS) 12–ის ცვლილება.

ფასს სტანდარტის „სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნა“ ცვლილების თანახმად, ბასს (IAS) 1–ის და ფასს პრაქტიკის განცხადება 2–ის ცვლილება, რომელიც ძალაში შევიდა 2023 წლის 1 იანვარს, კომპანიამ შეცვალა თავის სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნა. შეცვლილი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია მიმართულია იმაზე, თუ როგორ იყენებს კომპანია ფასს სტანდარტების მოთხოვნებს თავის საკუთარ საქმეებთან მიმართებით და ის მოიცავს მრავალ საკითხს, რომლებშიც კომპანია ირჩევს სააღრიცხვო პოლიტიკას ფასს სტანდარტებით დაშვებული ერთი ან მეტი ვარიანტიდან, ერთეულებიდან, რომლებიც მნიშვნელოვან განსჯას ან შეფასებას ექვემდებარება და გამორიცხავს ინფორმაციას, რომელიც მხოლოდ ფასს სტანდარტების მოთხოვნებს აორმაგებს ან აჯამებს, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკას არამატერიალური საკითხების შესახებ.

სხვა ცვლილებები და ინტერპრეტაციები პირველად 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებას შეეხო, თუმცა მათ არ ჰქონიათ მასზე რაიმე გავლენა.

ახალი და გადასინჯული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ქვემოთ განსაზღვრულია ახალი და გადასინჯული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში არ არის შესული კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის. კომპანია ამ ახალი და გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას გეგმავს მათი ძალაში შესვლისთანავე.

- ▶ ფასს (IFRS) 16–ის ცვლილება: საიჯარო ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან და ამ თარიღის შემდგომ პერიოდებში).
- ▶ ბასს (IAS) 1–ის ცვლილება: ვალდებულებების მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიცირება (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან).
- ▶ მიმწოდებლის ფინანსური გარიგებები – ბასს (IAS) 7–ის და ფასს (IFRS) 7–ის ცვლილებები (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან და ამ თარიღის შემდგომ პერიოდებში).

ამ მომენტისთვის კომპანია აფასებს გადასინჯული სტანდარტების და ცვლილებების გავლენას, მაგრამ არ მოელის, რომ მათ არსებითი გავლენა ექნება მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და შეფასება

კომპანია მიმართავს გარკვეულ დაშვებებსა და განსჯას, რაც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლისთვის. დაშვებები და განსჯა მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. დაშვებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე ახორციელებს გარკვეულ განსჯებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების თაობაზე. განსჯები, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი ეფექტი აქვთ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი კორექტირების განხორციელება აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებზე ცვეთა ირიცხება სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადა ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ იმ პერიოდის შეფასებას, რომლის დროსაც აქტივებიდან მოხდება ამონაგების გამოყენება, რაც პერიოდულად გადაიხედება მუდმივი შესაბამისობის დასადგენად. შეფასებებში ცვლილებებმა შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ცვლილებები კონკრეტული პერიოდების საბალანსო ღირებულებაში დარიცხულ თანხებში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. 2023 და 2022 წლებში კომპანიას არ გადაუხედავს მისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

მშობელ საწარმოზე გაცემული ფინანსური გარანტიის აღიარება და შეფასება

2022 წლის ოქტომბერში კომპანია, საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ კონკრეტულ სხვა საწარმოებთან ერთად ან განცალკევებით, გახდა თავდები 80 მილიონი აშშ დოლარის 7%-იან მწვანე ობლიგაციებთან მიმართებით, რომელთა დაფარვის ვადაა 2027 წელი და გამოშვებულია მისი მშობელი საწარმოს სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციების“ მიერ (1-ლი შენიშვნა), ამ ვალდებულების ფარგლებში, იპოთეკით დატვირთა მისი ყველა ძირითადი საშუალებები. მწვანე ობლიგაციების გამოშვების შემდეგ, მშობელი საწარმოსგან მიღებული სესხების საშუალებით მიღებული ფულადი სახსრებით, კომპანიამ დაფარა თავისი ყოფილი მშობელი საწარმოსგან არსებული ვალდებულებები. 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მშობელი საწარმოს მიმართ მართებული ნასესხები სახსრების თანხა შეადგინა 93,675 ლარი და 93,161 ლარი (მე-11 შენიშვნა).

ფინანსური გარანტიის ვალდებულების საწყისი შეფასებისას 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ განსაჯა მოსალოდნელი გადასახდელი თანხა პოტენციურ გარანტიასთან მიმართებაში როგორც ნული, რისთვისაც 80 მილიონი აშშ დოლარის (215,152 ლარი) გარანტიის მთლიანი პირობითი თანხა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 216,160 ლარი) შეამცირა მშობელი საწარმოს მიმართ არსებული ნასესხები სახსრების თანხით 93,675 ლარი, რომელიც უკვე აღიარებული იყო კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 93,161 ლარი), და 138,773 ლარით (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 139,423 ლარი), თანხით, რომლის დაფარვა მოსალოდნელია სხვა თავდებების მიერ, რაც მნიშვნელოვან განსჯას წარმოადგენდა, შესაბამისად, ფინანსურ გარანტიასთან დაკავშირებული ვალდებულება არ იქნა აღიარებული, ვალდებულებათა ორმაგი აღიარების თავიდან აცილების მიზნით. მნიშვნელოვან განსჯის საკითს წარმოადგენდა შეწყვეტის და ფინანსური გარანტიების შეფასება 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ძირითადი საშუალებების გაუფასურება

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის, კომპანიამ ჩაატარა ძირითადი საშუალებების გაუფასურების ან აღდგენის მაჩვენებლების ანალიზი. ხელმძღვანელობას არ აღმოუჩენია ძირითადი საშუალებების გაუფასურების ან ადრე აღიარებული გაუფასურების აღდგენის ინდიკატორები, გარდა ფიზიკური დაზიანებით ან ზარალის მოვლენით გამოწვეული გაუფასურებისა 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მოძრაობა 2023 და 2022 წლებში ასეთი იყო:

	მიწა	ინფრასტრუქტურული აქტივები	მიღები და ჩები	ავიჯი და მოწყობილობები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	სულ
პირვანდელი ღირებულება						
2021 წლის 31 დეკემბერს	372	96,948	67,253	758	456	165,787
შესყიდვები	-	46	-	13	91	150
გასვლები/ჩამოწერები	-	(38,782)	-	(207)	(25)	(39,014)
საკურსო სხვაობა	(48)	(9,337)	(8,517)	(95)	(52)	(18,049)
2022 წლის 31 დეკემბერს	324	48,875	58,736	469	470	108,874
შესყიდვები	-	162	-	80	-	242
გასვლები/ჩამოწერები	-	-	-	(425)	-	(425)
საკურსო სხვაობა	(2)	(223)	(269)	(2)	(2)	(498)
2023 წლის 31 დეკემბერს	322	48,814	58,467	122	468	108,193
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება						
2021 წლის 31 დეკემბერი	-	(42,112)	(3,998)	(44)	(48)	(46,202)
ცვეთის დანარიცხი	-	(1,705)	(1,197)	(13)	(8)	(2,923)
გასვლა	-	36,305	-	-	-	36,305
საკურსო სხვაობა	-	2,721	575	7	7	3,310
2022 წლის 31 დეკემბერი	-	(4,791)	(4,620)	(50)	(49)	(9,510)
ცვეთის დანარიცხი	-	(1,141)	(1,367)	(3)	(11)	(2,522)
საკურსო სხვაობა	-	9	12	-	-	21
2023 წლის 31 დეკემბერს	-	(5,923)	(5,975)	(53)	(60)	(12,011)
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება						
2022 წლის 31 დეკემბერს	324	44,084	54,116	419	421	99,364
2023 წლის 31 დეკემბერს	322	42,891	52,492	69	408	96,182

ინფრასტრუქტურული აქტივები მეტწილად მოიცავდა სატურბინე გენერატორებს, შემშვებებს და რეზერვუარებს „სვანეთი ჰიდროს“ ჰიდროელექტრო სადგურებისთვის, ასევე წყლის ნაკადის შეფასების სადგურებს.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა დაგირავებული ყველა ძირითადი საშუალება მშობელი საწარმოს გამოშვებული მწვანე ობლიგაციებისთვის.

2019 წლის ივლისის თვეში კლდის ჩამოწოლით მიღებული ზარალის მოვლენა დაკავშირებული იყო ჰიდროელექტრო სადგურის „მესტიაჭალა 1“-თან, რომელიც კომპანიის ერთ-ერთი ინფრასტრუქტურული აქტივი იყო.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ აღიარა ჰიდროელექტრო სადგურის „მესტიაჭალა 1“ აქტივების გაუფასურება და აღრიცხა 36,595 ლარის ოდენობის გაუფასურების ხარჯი თავის 2021 წლის მოგება-ზარალისა სხვა სრული შემოსავლის უწყისში. 2022 წლის 20 ივნისს კომპანიამ გააფორმა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება („SPA“) მესამე მხარესთან ჰიდროელექტრო სადგურის „მესტიაჭალა 1“ დარჩენილი აქტივების გასაყიდად, რომლის წმინდა სააღრიცხვო ღირებულება შეადგენდა 2,448 ლარს (მოიცავდა მთლიან სააღრიცხვო ღირებულებას 38,753 ლარის ოდენობით და დაგროვილ ცვეთას და გაუფასურებას 36,305 ლარის ოდენობით), მთლიანი საზღაურის 3 მილიონი აშშ დოლარის სანაცვლოდ, საიდანაც 0,3 მილიონი აშშ დოლარის (877 ლარი) გადაცემა მოხდა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გაფორმების თარიღში. „მესტიაჭალა 1“-ის გაყიდვიდან წარმოქმნილი დარჩენილი მოთხოვნები სამართლიანი ღირებულებით 0,6 მილიონი აშშ დოლარი (1,789 ლარი) გადაეცა დაკავშირებულ მხარეს (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო) 2022 წელს. შედეგად, 218 ლარის ოდენობით წმინდა შემოსულობა შევიდა არარეგულარულ ხარჯებში 2022 წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ჰიდროელექტრო სადგურის „მესტიაჭალა 1“ გაყიდვასთან მიმართებით (მე-16 შენიშვნა).

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

7. აქტივის გამოყენების უფლება

ქვემოთ მოცემულია აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება და მოძრაობები პერიოდის განმავლობაში:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	698
ცვეთის ხარჯი	(13)
საკურსო სხვაობა	(111)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	574
ცვეთის ხარჯი	(12)
საკურსო სხვაობა	46
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	608

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აქტივის გამოყენების უფლება მოიცავს მიწის ნაკვეთების იჯარებს.

ცვლილებები ფინანსური იჯარის საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში:

	საიჯარო ვალდებულებები
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	372
საკურსო სხვაობა	(73)
გადახდილი ძირი	(14)
დარიცხული პროცენტი	60
გადახდილი პროცენტი	(60)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	285
საკურსო სხვაობა	94
გადახდილი ძირი	(1)
დარიცხული პროცენტი	39
გადახდილი პროცენტი	(39)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	378

8. სხვა გრძელვადიანი აქტივები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიან აქტივებში გადახდილი ავანსები	56	102
არამატერიალური აქტივები	406	409
სულ სხვა გრძელვადიანი აქტივები	462	511

არამატერიალური აქტივების მთლიანმა საბალანსო ღირებულებამ და დაგროვილმა ამორტიზაციამ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 513 ლარი და 107 ლარი შეადგინა, შესაბამისად (2022 წლის 31 დეკემბრის: 533 ლარი და 124 ლარი).

2022 წელს, კომპანიამ ჩამოწერა 300 ლარის ნარჩენი ღირებულების არამატერიალური აქტივი, რომელიც დაკავშირებული იყო ჰიდრო ელექტრო სადგურ, მესტიაჭალა 1-თან (შენიშვნა 16).

2023 წელს არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის დანარიცხმა 17 ლარი შეადგინა (2022 წ.: 20 ლარი).

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში აშშ დოლარში	1,449	3,125
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში ლარში	539	281
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში ევროში	17	15
აშშ სახაზინო ობლიგაციები	4,543	-
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6,548	3,421

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში მოიცავს საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებს. მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებზე 2023 წელს დაირიცხა საპროცენტო შემოსავალი 74 ლარის ოდენობით (2022 წ.: 79 ლარი).

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

10. საკუთარი კაპიტალი**საწესდებო კაპიტალი**

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ავტორიზებული სააქციო კაპიტალი შედგებოდა 100,000 ათასი ჩვეულებრივი აქციისგან, ხოლო თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება იყო 1 (ერთი) ლარი. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 49,602 ათასი აქცია იყო გამოშვებული და ნაწილობრივ გადახდილი.

2022 წლის 6 ოქტომბერს მშობელმა საწარმომ შეამცირა კომპანიის 17,844 ლარის ნომინალური ღირებულების საკუთარი კაპიტალი, 17,844 ლარის (6,360 აშშ დოლარი) ნომინალური ღირებულების მქონე 17,844 ათასი აქციის გაუქმების გზით, ნაწილობრივად 7,011 ლარის (2,500 აშშ დოლარი) ოდენობით ნაღდი ფულისა და ნაწილობრივ საზღაურის გარეშე, 10,833 ლარის (3,861 აშშ დოლარი) ოდენობით, რომელიც შედგებოდა კომპანიის მიერ დაკავშირებულ მხარეზე (საერთო კონტროლის დაქვემდებარებული საწარმო) გაცემული სესხისგან 9,044 ლარის საბალანსო ღირებულებით და „მესტიაჭალა 1“-ის გაყიდვით მიღებული მოთხოვნისგან 0,6 მილიონი აშშ დოლარი (1,789 ლარი) საბალანსო ღირებულებით.

2023 წლის 13 ნოემბრის აქციონერის კრების ოქმის საფუძველზე კომპანიის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება განისაზღვრა. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 49,602 ლარს.

საკურსო სხვაობის რეზერვი

საკურსო სხვაობის რეზერვი მოიცავს უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციის რეზერვს. წლის სხვა სრული ზარალი სრულად უკავშირდება მომრავლას საკურსო სხვაობის რეზერვში.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანიის მიზნებია:

- უზრუნველყოს კომპანიის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარი, რომ მან უზრუნველყოს მფლობელებისთვის უკუგების მოტანა, ხოლო სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის სარგებლის შექმნა;
- შეინარჩუნოს საკმარისი ზომა, რომ კომპანიის საქმიანობა ხარჯთეფექტური იყოს.

კომპანია არ წარმოადგენს კაპიტალთან დაკავშირებული გარე მოთხოვნების საგანს.

კომპანია კაპიტალს განსაზღვრავს კაპიტალის მართვის მიზნებისთვის, იგივე ფორმით, როგორც ის წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებებში.

კაპიტალის მართვის მიზნებში, პოლიტიკასა და პროცესებში ცვლილებები არ შესულა 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში.

11. ნასესხები სახსრები

	2023 წლის 31 დეკემბერი		2022 წლის 31 დეკემბერი	
	მოკლევადიანი ვალდებულებები	გრძელვადიანი ვალდებულებები	მოკლევადიანი ვალდებულებები	გრძელვადიანი ვალდებულებები
სესხი მშობელი საწარმოსგან	-	93,675	-	93,161
სულ ნასესხები სახსრები	-	93,675	-	93,161

2022 წლის 13 ოქტომბერს კომპანიამ მიიღო 94,163 ლარის (33,800 აშშ დოლარი) ოდენობით სესხი სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციებისგან“, რომლის დაფარვის ვადაა 2027 წლის 13 ოქტომბერი. სესხი აშშ დოლარშია დენომინირებული წლიური 9.4%-იანი საპროცენტო განაკვეთით. შემოსულობა სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციების“ სესხიდან სრულად იყო გამოყენებული „GCAP“-სგან მიღებული 94,148 ლარის ოდენობით აქციონერული სესხის რეფინანსირებისთვის.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

11. ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

ცვლილებები საფინანსო საკმისიდან წარმოშობილ ვალდებულებებში:

	სესხი ყოველი მშობელი საწარმოსგან (GGU)	სესხები GCAP- სგან	სესხი მშობელი საწარმოსგან (GRPO)	სულ
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	115,204	-	-	115,204
საკურსო სხვაობა	(9,181)	(1,588)	(2,854)	(13,623)
შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან	-	-	94,163	94,163
ნასესხები სახსრები გადაცემა	(95,482)	95,482	-	-
გადახდები ნაღდი ფორმით	(6,065)	(93,187)	-	(99,252)
დარიცხული პროცენტი	7,577	254	1,852	9,683
გადახდილი პროცენტი	(12,053)	(961)	-	(13,014)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	93,161	93,161

	სესხი ყოველი მშობელი საწარმოსგან (GGU)	სესხები GCAP- სგან	სესხი მშობელი საწარმოსგან (GRPO)	სულ
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	93,161	93,161
საკურსო სხვაობა	-	-	(407)	(407)
დარიცხული პროცენტი	-	-	8,366	8,366
გადახდილი პროცენტი	-	-	(7,445)	(7,445)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	93,675	93,675

12. გადავადებული შემოსავალი

2017 წლის 27 დეკემბერს კომპანიამ მიიღო 237 აშშ დოლარის ოდენობის გრანტი ავსტრიული სახელმწიფო უწყებისგან „Oesterreichische Entwicklungsbank AG („OEEB“)“ ისგან. კონკრეტული სახელშეკრულებო პირობების დაკმაყოფილების შემდეგ კომპანიას აუნაზღაურდა ჰიდროელექტრო სადგურების „მესტიაჭალა“ ტექნიკურ პროექტთან დაკავშირებით გადახდილი თანხები. კომპანიამ, 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღიარა ამ გრანტებთან დაკავშირებული გადავადებული შემოსავალი 420 ლარი და 480 ლარის ოდენობით, შესაბამისად. შემოსავალის აღიარება ხდება თანაბარი თანხებით, შესაბამისი აქტივის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

13. ამონაგები ელექტროენერგიის გაყიდვიდან

კომპანიამ გააფორმა ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულება („PPA“) სს „ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორთან“ („ესკო“) კომერციული ფუნქციონირების დაწყების თარიღიდან 15 წლის ვადით (2019 წლის აპრილი „მესტიაჭალა 2“-სთვის). კომპანიას აქვს უფლება გაყიდოს, ხოლო „ესკოს“ ვალდებულება იყიდოს კომპანიის მიერ გამოშვებული ელექტროენერგია წელიწადში 8 თვის განმავლობა (სექტემბრიდან მასამდე), ხოლო დარჩენილ პერიოდში ელექტროენერგია ღია ბაზარზე იყიდება. 2023 წლიდან კომპანიამ დაიწყო ელექტროენერგიის თურქეთში ექსპორტი, რამაც 2023 წელს კომპანიის ამონაგების 55% შეადგინა. ამონაგები ელექტროენერგიის გაყიდვიდან აღიარდება ყოველთვიურად, ფაქტობრივად შეფასებული გამოშვებების საფუძველზე.

	2023	2022
ამონაგები ელექტროენერგიის „ესკო“-ზე გაყიდვიდან	3,801	4,932
ამონაგები ელექტროენერგიის იურიდიულ პირებზე გაყიდვიდან	10,670	9,639
- ადგილობრივი გაყიდვები	4,831	9,639
- ექსპორტზე გაყიდვები	5,839	-
სულ ამონაგები ელექტროენერგიის გაყიდვიდან	14,471	14,571

ელექტროენერგიის გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებთან დაკავშირებული 164 ლარის ოდენობის სახელშეკრულებო ნაშთები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2022 წლის 31 დეკემბერს: 105) წარმოდგენილია სავაჭრო მოთხოვნებში. დაკავშირებულ მხარეზე ძირითადი საშუალების გაყიდვასთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნები იყო 73 ლარი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის (2022 წლის 31 დეკემბერი: ნული).

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

14. სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	998	1,097
ხელფასი	765	575
სადაზღვევო ხარჯი	439	760
პროფესიული გასამრჯელო	158	150
ნედლეული, საწვავი და სხვა მასალები	133	169
ინფრასტრუქტურული აქტივების ტექმომსახურების ხარჯი	52	227
სხვა	178	200
მთლიანი საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2,723	3,178

15. სხვა არასაოპერაციო ხარჯები

	2023	2022
საქველმოქმედო ხარჯები	121	106
ტრანსპორტის ტექმომსახურების ხარჯები	84	243
საიჯარო ხარჯები	43	8
სხვა	-	45
სულ სხვა არასაოპერაციო ხარჯები	248	402

16. არარეგულარული ხარჯები, წმინდა

	2023	2022
ძირითადი საშუალების გასვლა	133	-
„მესტიაჭალა 1“-ის გასვლასთან დაკავშირებული არარეგულარული შემოსულობა (მე-6 შენიშვნა)	-	(218)
გრძელვადიანი აქტივის ჩამოწერა (მე-8 შენიშვნა)	-	300
სხვა	-	97
სულ არარეგულარული ხარჯები, წმინდა	133	179

17. ფინანსური დანახარჯები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ფინანსური დანახარჯები ნასესხებ სახსრებზე, საიჯარო ვალდებულებებზე და ფლობილი ფასიანი ქაღალდების გაყიდვით მიღებული ზარალი, შეადგენდა 8,366 ლარს, 39 ლარს და ნულს, შესაბამისად (2022 წლის 31 დეკემბერს: 9,683 ლარი, 60 ლარი და 72 ლარი, შესაბამისად).

18. პირობითი ვალდებულებები**გაცემული ფინანსური გარანტია**

გარანტიები გამოუთხოვადი რწმუნებულებათა იმისა, რომ კომპანია განახორციელებს გადახდას იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე ვერ დააკმაყოფილებს ვალდებულებებს. კომპანიამ, საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოსთან ერთად გარანტია გასცა მშობელ საწარმოზე ობლიგაციების თაობაზე, რომლებიც საქართველოს საფონდო ბირჟაზეა კოტირებული (მე-5 შენიშვნა).

გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულაციების აღსრულება მიმდინარეობს და ხელისუფლების ორგანოების აღსრულების პოზიცია მუდმივად გადაიხედება. კომპანია პერიოდულად აფასებს მის ვალდებულებებს გარემოსდაცვითი რეგულაციების ფარგლებში. ვალდებულებების განსაზღვრასთან ერთად ისინი სასწრაფო წესით აღიარდება. პოტენციური ვალდებულებები, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას არსებულ რეგულაციების, სამოქალაქო სასამართლო დავების ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, ვერ შეფასდება, მაგრამ შესაძლოა არსებითი მნიშვნელობის იყოს. მიმდინარე აღსრულების ფარგლებში არსებული კანონმდებლობის საფუძველზე, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოს დაზიანების მნიშვნელოვანი ვალდებულება არ არსებობს.

დაბეგვრა

საქართველოში საგადასახადო დეკლარაციები ღია რჩება და ექვემდებარება ინსპექტირებას სამ წლამდე ვადით. თუ ინსპექციის შედეგად დაფიქსირდება საგადასახადო ვალდებულების მცირე რაოდენობით წარმოჩენა, გადასახდელი ჯარიმები და საურავები შესაძლოა არსებითი მნიშვნელობის იყოს საგადასახადო ვალდებულებების არაზუსტად წარმოდგენასთან დაკავშირებით. კომპანიის ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ ინსპექტირების შედეგებს არსებითი გავლენა ექნება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე ან მისი ოპერაციების შედეგებზე. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის გადახდილი და დარიცხული აქვს ყველა მოქმედი გადასახადი.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

19. ფინანსური ინსტრუმენტები**სამართლიანი ღირებულების შეფასება**

კომპანიის მიერ 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობილი ყველა ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება კოტირებული ფასებით შეფასების მეთოდის გამოყენებით აქტიურ ბაზრებზე და ასევე ბაზრის ემპირიული ამოსავალი მონაცემებით.

სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 და მე-3 დონეში სამართლიანი ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდის გამოყენებით. მცოცავი სავალუტო კურსის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე, საბალანსო ღირებულების ტოლი ოდენობით შეფასდა. არაკოტირებული ფიქსირებულ-პროცენტიანი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება შეფასდა შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული ოდენობით, მსგავსი საკრედიტო რისკის და დარჩენილი დაფარვის ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის.

სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონით შეფასებული სამართლიანი ღირებულება და იმ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, არის შემდეგი:

		2023 წლის 31 დეკემბერი		2022 წლის 31 დეკემბერი	
		საბალანსო	სამართლიანი	საბალანსო	სამართლიანი
	დონე	ღირებულება	ღირებულება	ღირებულება	ღირებულება
ფინანსური აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (მე-9 შენიშვნა)					
1-ლი დონე		6,548	6,548	3,421	3,421
ფინანსური ვალდებულებები					
ნასესხები სახსრები (მე-11 შენიშვნა)	მე-2 დონე	93,675	89,676	93,161	93,186
საიჯარო ვალდებულებები (მე-7 შენიშვნა)	მე-2 დონე	378	378	285	285
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	მე-2 დონე	180	180	31	31

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები და დაშვებები:

- ▶ ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების, ასანაზღაურებელი აქტივის და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული, ამ ინსტრუმენტების მოკლევადიანი დაფარვის ვადების გამო;
- ▶ ფიქსირებული განაკვეთის მქონე ნასესხები სახსრებისა და საიჯარო ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით მოქმედ ბაზარზე საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული განაკვეთების გამოყენებით;

ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი რისკი

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, კომპანია გასწევს სავალუტო, საპროცენტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკებს. კომპანიის ხელმძღვანელობა ზედამხედველობს ამ რისკების მართვას.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი გამოიხატება იმაში, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიძლება მერყეობდეს სავალუტო კურსის ცვლილების გამო.

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავალუტო რისკი მომდინარეობს ევროში გამოხატული ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებიდან, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებიდან. გონივრულ ფარგლებში შესაძლო ცვლილების ეფექტი არაარსებითია.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, თუ საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები გავლენას მოახდენს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაზე ან ფინანსური ინსტრუმენტების მომავალ ფულადი სახსრების ნაკადზე. 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა ფიქსირებულ პროცენტიანი ნასესხები სახსრები, შესაბამისად გასწევდა საპროცენტო განაკვეთის რისკს.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

19. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)**ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი რისკი (გაგრძელება)***საკრედიტო რისკი*

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიამ შესაძლოა განიცადოს ზარალი, თუ მისმა კონტრაქტებმა ვერ შეძლეს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება. კომპანია საკრედიტო რისკს მართავს და აკონტროლებს რისკის მოცულობაზე მისთვის მისაღები ლიმიტის დაწესებით კონტრაქტებთან. ასეთი რისკების მონიტორინგი ხდება უწყვეტად, ხოლო მათი გადახედვა ხდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად.

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ ფლობს საკრედიტო რისკის მქონე სხვა მნიშვნელოვან ფინანსურ აქტივებს, გარდა შემდეგისა:

- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები: 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთლიანი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2,005 ლარის ოდენობით (2022 წლის 31 დეკემბრის: 3,421 ლარი) განთავსებული იყო ქართულ ბანკებში, რომლებსაც „Fitch“-ის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვს „BB/bb-“ რეიტინგი და ინვესტირებული აშშ-ის სახაზინო ფასიან ქაღალდებში 4,543 ლარის ოდენობით (2022 წლის 31 დეკემბრის: ნული) საკრედიტო რეიტინგით „AA+“;
- სავაჭრო მოთხოვნები (შენიშვნა 13)

ყველა ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების და სავაჭრო მოთხოვნების ნაშთები კლასიფიცირებულია მოკლევადიანად და ისინი გაუფასურებული არ არის. ამ ფინანსური აქტივების მოკლევადიანობის და ძალიან ლიკვიდური ხასიათის გამო, კომპანიამ შესაბამისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეაფასა, როგორც არარსებითი. შესაბამისად ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისთვის და სავაჭრო მოთხოვნებისთვის ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში გაუფასურება არ აღიარდება.

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულება საუკეთესოდ წარმოაჩენს მათთვის დამახასიათებელ მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. ფინანსურ გარანტიებთან დაკავშირებული მაქსიმალური რისკი არის 215,152 ლარი და 216,161 ლარი (მე-5 შენიშვნა).

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუჭირდება გადახდის ვალდებულებების შესრულება, როდესაც გადახდის დრო დადგება ჩვეულებრივ ან სტრესულ ვითარებებში. ხელმძღვანელობა ყოველთვის ურად აკონტროლებს კომპანიის ფულადი სახსრების მოძრაობის მცოცავ პროგნოზებს. კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური ფინანსირების ბაზა, რომელიც ძირითადად მოიცავს ნასესხებ სახსრებს და ვალდებულებებს გრძელვადიანი აქტივებისთვის. კომპანია არ ელოდება ფულადი სახსრების გასვლას ფინანსური გარანტიებიდან გამომდინარე 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2023 წლისა და 2022 წლის მდგომარეობით არსებული ფინანსური ვალდებულებები ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების საფუძველზე.

	1 წელზე ნაკლები	1-დან 3 წლამდე	3-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					
ნასესხები სახსრები	-	-	126,028	-	126,028
საიჯარო ვალდებულებები	43	76	76	1,375	1,570
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	180	-	-	-	180
ფინანსური გარანტია	215,152	-	-	-	215,152
სულ მომავალი გადახდები	215,375	76	126,104	1,375	342,930
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					
ნასესხები სახსრები	-	-	107,222	-	107,222
საიჯარო ვალდებულებები	43	76	76	1,418	1,613
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	31	-	-	-	31
ფინანსური გარანტია	216,161	-	-	-	216,161
სულ მომავალი გადახდები	216,235	76	107,298	1,418	325,027

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

20. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით მხარეები დაკავშირებულად ითვლება, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. ყოველი შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება გააფორმონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის გაფორმებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებით და თანხებით, როგორითაც გაფორმდებოდა გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებს შორის.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და წლის დაკავშირებული ხარჯები შედგება მხოლოდ მშობელი საწარმოდან ნასესხები სახსრებისაგან, ყოფილი მშობელი საწარმოსგან, „GCAP“-სგან და დაკავშირებული ხარჯებისაგან (მე-11 შენიშვნა) და მშობელ საწარმოსა და ყოფილ მშობელ საწარმოზე გაცემული ფინანსური გარანტიისაგან (მე-5 შენიშვნა). ამის გარდა, 2022 წლის 1 აგვისტოს, კომპანიამ გასცა 243 ლარის ოდენობის (89 დოლარი), დოლარში ნომინირებული სესხი მშობელ საწარმოზე, რომლის ნომინალური საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 10%-ს, ხოლო გადახდის ვადად განისაზღვრა 2023 წლის 30 აპრილი.

დირექტორების ანაზღაურება

2023 და 2022 წლებში კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა მოიცავს სამეთვალყურეო საბჭოს სამ წევრს და დირექტორთა საბჭოს წევრებს. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არ იღებენ ანაზღაურებას კომპანიისგან. უმაღლესი აღმასრულებელი ხელმძღვანელობის ანაზღაურება, რომელიც მოიცავს სრულ განაკვეთზე მომუშავე აღმასრულებელი მართვის პოზიციების მომსახურების ანაზღაურებას, შედგება ხელფასებისგან, შესრულების პრემიებისგან, რომელიც დამოკიდებულია კომპანიის სხვა ანაზღაურების მაჩვენებლებზე, ცხოვრების, მივლინების, კომუნიკაციისა და სხვა ხარჯების ანაზღაურების ფორმით. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისთვის დარიცხული მთლიანი ანაზღაურება იყო 2023 და 2022 წლებში იყო 145 ლარი და 130 ლარი, შესაბამისად.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წლის 24 იანვარს GRPO-ს გადაწყვეტილების საფუძველზე, კომპანიამ შეამცირა საწესდებო კაპიტალი 2,983 ლარის ოდენობით.